შეხვედრა გუბერნიაში - საკურორტო ზონებში არსებული მდგომარეობა და გამოწვევები

ალიონი. საკურორტო ზონებში, მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვის მიზნით, 1 თებერვალს, გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას დაესწრენენ მცირე ბიზნესის, რეგიონული უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და გუბერნიაში შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს, არასამთავრობო სექტორის და მედიის წარმომადგენლები.

შეხვედრა გურიის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ გახსნა.

შეხვედრაზე განიხილეს საკურორტო ზონებში არსებული მდგომარეობა, ნარჩენების მართვის, უსაფრთხოების პრობლემატური საკითხები, მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. განიხილეს ინფრასტრუქტურის განვითარების ახალი პერსპექტივები.

შეხვედრაზე დასახელებული საკითხები საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა აკაკი ფანჩულიძემ წარმოადგინა.

—შავიზღვისპირა საკურორტო ზონაში დიდი გამოწვევების წინაშე ვდგევართ. ურეკმა უნდა შეძლოს იმ ფუნქციის შესრულება, რაც მასზეა დამოკიდებული. ბუნებრივი ლანდშაფტის შეცვლა ხდება. როცა კომპანია „ფერი“ ურეკ-შეკვეთილში დიდ პროექტს დაასრულებს, ზღვის დაბინძურება აღარ მოხდება. ნარჩენების შეგროვება ხდება სათანადო ტექნიკის გამოყენებით, მაგრამ საჭიროა საზოგადოების მეტი ჩართულობა, საინფორმაციო პროპაგანდა.

შეხვედრაზე ძირითადად კითხვები დასვეს სასტუმროების და სხვა მცირე ბიზნესის წარმომადგენლება გელა ნაცვალაძემ, ნიკოლოზ ქურიძემ, ამირან კიღურაძემ, ირაკლი კაჭარავამ, შუქრი თავათქილაძემ, ლალი თავართქილაძემ და სხვებმა. იყო საუბარი კურორტ ბახმაროს განვითარებაზეც.

დისკუსიაში შპს „ფერის“ წარმომადგენელი გელა წოწორია და უცხოელი ექსპერტი სლობოდან ლუკოვიჩი მონაწილეობდნენ. მათი განცხადებით ურეკი-შეკვეთილის წყალმომარაგების და კანალიზაციის პროექტი დასრულებულია. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის ტესტირება. სავარაუდოდ პროექტი ოფიციალურად მაის-ივნისში დასრულდება.

მერაბ ჭანუყვაძე, გურიის გუბერნატორი:

— შეგახსენებთ, რომ ოზურგეთმა 2017 წელს მიიღო ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტის სტატუსი საკურორტო ზონაში არსებულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა. მცირე ბიზნესის, რეგიონალური უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ერთად განვიხილეთ ის საკითხები, რაც მოსახლეობას აწუხებს. მინდა აღვნიშნო, რომ მომდევნო წლების განმავლობაში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობით, ის პროექტები და პრობლემები, რომლებიც რეგიონისთვის და საკურორტო ზონებისთვის აქტუალურად რჩება ეტაპობრივად იქნება მოგვარებული. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში მოხდეს შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი **აკაკი ფანჩულიძე** - „ურეკი-შეკვეთილი-გრიგოლეთის წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემების სამუშაოები, როგორც განგვიცხადეს 2018 წლის ივნისის თვეში დასრულდება და ხელს შეუწყობს ამ საკურორტო სეზონის წარმატებულად განვითარებას. შეხვედრაზე, შევეხეთ ძალიან ბევრ პრობლემურ საკითხს და დაიგეგმა გარკვეული სახის ღონისძიებებიც. ტურისტულ სექტორში დასაქმებული მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, ამგვარ შეხვედრებს მივესალმებით და ჩვენი თანამშრომლობა სამომავლოდ კიდევ უფრო გაღრმავდება“.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 5 (10250) 5 თებერვალი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

ურეკში სტუდენტური პარლამენტი გაიხსნა

გასულ ორშაბათს, 29 იანვარს ურეკში, „კოლხიდას“ საკონფერენციო დარბაზში სტუდენტური პარლამენტი დაფუძნდა.

სტუდენტური პარლამენტი, რომელშიც საქართველოს მასშტაბით 600 სტუდენტია გაწევრიანებული, 6-თვიანი სტაჟირების პროგრამას მოიცავს. პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდები 15 კომიტეტში, ინტერესის სფეროს მიხედვით, აიმაღლებენ კვალიფიკაციას.

კონფერენციაზე საპატიო სტუმრის სტატუსით, საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე, სიმონ ნოზაძე იყო მიწვეული. ის სტუდენტებს ესაუბრა საკანონმდებლო ინიციატივებსა და ახალგაზრდების როლზე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სტუდენტებს სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ღურჯუმელიძემ, საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე მარიკა ჩხიკვიშვილმა, საქართველოს პარლამენტში ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის არჩილ თალაკვაძის ბიუროს ხელმძღვანელმა ლაშა ჭელიძემ.

შეხვედრა დისკუსიის ფორმატში გაგრძელდა.

პროექტს ორგანიზაცია Iცსუ-საქართველო დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენთა გაერთიანება ახორციელებს.

როცა ერთ მედიასაშუალებას 70 ათასამდე ლარით აფინანსებ და მეორესთვის 7 ათასი ლარის გაცემა გიჭირს, ეს იმას ნიშნავს, რომ მეორეს ძირავ

***ალიონი.** ეკონომიკურად და ფინანსურად ჯერ კიდევ სუსტ ქვეყანაში მცირე მედიასაშუალებებს, ე. წ „მედიამგნატებისაგან“ განსხვავებით, უჭირთ დამოუკიდებლად თავის გატანა, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც რესურსები გაცილებით ნაკლებია. არასწორია, რომ დამოუკიდებელი მედიასაშუალებებიც კი, გაწეული რეკლამისა თუ პიარის სანაცვლოდ, გარკვეულწილად ფინანსდებიან სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან. არჩევნები კი, ამ თვალსაზრისით ყველა ქვეყანაში ყოველთვის სასურველი პროცესია ნებისმიერი მედიასაშუალებისათვის.*

მოკლედ, როცა სჭირდებათ, გულზე ეხატებათ თუ არ ეხატებათ, წყალობენ მედიას და დაფინანსებისას ცდილობენ, გარკვეული ბალანსის დაცვას.

სამწუხაროდ, ჩვენი ადგილობრივი ხელისუფლების დაპირების მიუხედავად, რომ 2017 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული, მედიისთვის გამოყოფილი ხარჯები თანაბრად განაწილდებოდა აქ მოქმედ მედიასაშუალებებზე, მტკნარი კი არა, საკმაოდ მლაშე სიცრუე აღმოჩნდა.

გუბერნიიდან და მხარის მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი შესაბამისი ოფიციალური ინფორმაციებიდან ჩანს, რომ ოზურგეთსა და ჩოხატაურში გამომავალი (ოზურგეთშიც რომ ვრცელდება) გაზეთები **სამხარეო ხელისუფლებიდან** არათანაბრად არის დაფინანსებული:

— შპს „გურია ნიუსი“ — 1 200 ლარი;

— შპს „21-ს ქვემოთ“ — 1 100 ლარი;

— შპს გაზეთი „ალიონი“ — 800 ლარი;

— შპს „გურიის პრესკლუბი“ (გაზეთი „გურიის მოამბე“) — 50 ლარი.

კიდევ უფრო დისპროპორციულია ოზურგეთის **მუნიციპალიტეტის გამგეობის** მიერ ადგილობრივ მედიასაშუალებებზე გადარიცხული თანხები:

— შპს გაზეთი „ალიონი“ — 1 200 ლარი,

— შპს „გურიის პრესკლუბი“ („გურიის მოამბე“) — 1 200 ლარი;

— შპს „გურია ნიუსი“ — 1 200 ლარი,

— შპს „ჩოხატაურის მაცნე“ — 2 600 ლარი (ეს უკანასკნელი, რამდენადაც ვიცით, „გურია ნიუსს“ წარმოადგენს).

ქალაქ ოზურგეთის მუნიცი-

გვ-3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი ინიციატივა

ალიონი. ახალი ინიციატივა - „თვითმართველობა განათლებისთვის“ ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების პროცესში განათლების (სასკოლო, სამოქალაქო) ხელშეწყობა დაიწყო. ამ მიზნით, 2 თებერვალს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ოზურგეთის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს, პედაგოგებს, საკრებულოს წევრებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს, ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, რამდენიმე წიგნისა და ნაშრომის ავტორმა **გიორგი კილაძემ** პროექტი „სასკოლო ლიტერატურა“ წარუდგინა.

შეხვედრაზე, დისკუსიის ფორმატში, მონაწილეებმა განიხილეს „ეროვნული ბიბლიოთეკის სასკოლო ლექსიკონთა ერთიანი ბაზის“, სასკოლო ლიტერატურის ციფრული ტექსტების ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებითი შესაძლებლობები, რაც განათლების (სასკოლო, სამოქალაქო) ხელშეწყობას უზრუნველყოფს.

როგორც **გიორგი კილაძემ** აღნიშნა, პროექტების სრულყოფისათვის უმნიშვნელოვანესია მონაწილეთა აზრი, კრიტიკა, შენიშვნები, რეკომენდაციები „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო პროექტის „სასკოლო ლიტერატურისა“ და პროექტში გაერთიანებული ციფრული რესურსების მიმართ.

თვითმართველობის ინდექსის რეიტინგის ლიდერი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებითა და ინოვაციური მეთოდების დანერგვით წარმართავს საქმიანობას, თვითმართველობებიდან ერთ-ერთი პირველია, რომელმაც მსგავსი ტიპის ინიციატივის რეალიზება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით დაიწყო.

ახალი ინიციატივა საკრებულოს განათლების კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ **ლელა საჯაიას** ეკუთვნის.

ლელა საჯაია: *ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ვთანამშრომლობ, როგორც მკითხველი. ძალიან დამაინტერესა პროექტმა „ციფრული რესურსები და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ“.*

ციფრული რესურსები სასწავლო პრაქტიკაში დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური საშუალებაა, რომელიც გაცილებით მეტ მოტივაციას უქმნის ბავშვს იმიტომ, რომ მას არ სჭირდება ძალისხმევა აუცილებელი ლიტერატურის მოძიებისა და წვდომისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ შემოთავაზებული ციფრული რესურსების პროექტი არაჩვეულებრივია და მეტად საჭიროა მაღალი კლასების მოსწავლეებისთვის. აქ წარმოდგენილი არის სასკოლო ბიბლიოთეკა, სასკოლო ლექსიკონები. ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენი თანამშრომლობა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან იქნება შედეგიანი. უშუალოდ პროექტის ავტორების ჩართულობა, მათთან შეხვედრა, ამ პროექტის შესახებ ინფორმაციის გაცვლა, თვითონ ბავშვებისა და პედაგოგების სურვილები თანხვედრაში იქნება ერთმანეთთან და პროექტიც გაცილებით უფრო წარმატებული იქნება, უფრო დაიხვეწება. განსაკუთრებით საინტერესოა სასკოლო ლექსიკონებზე მუშაობა. რჩევებისათვის, კარგი იქნება თუ ამ პროექტში პრაქტიკოსი პედაგოგები ჩაერთვებიან.

ხშირად დამხმარე სახელმძღვანელოებს ქმნიან პროფესორები, საკმაოდ მაღალი აკადემიური ცოდნის ადამიანები, ვისაც უშუალოდ ნაკლები წვდომა აქვთ ბავშვებთან, შედეგად გა-დატვირთულია ასეთი დამხმარე ლიტერატურა, იგი აბნევს ბავშვს. ამიტომ მსგავსი პროექტები ბავშვებისა და პედაგოგების ჩართულობით თუ გაკეთდება, გაცილებით უკეთესი იქნება.

ყველაზე მთავარი, რაც მინდა აღვნიშნო, არის ის, რომ ამ პროექტის მიმდინარეობისას, მუნიციპალიტეტის საკრებულო უკვე ორიენტირებულია ამ ციფრული ტექნოლოგიების და რესურსების გამოყენებაზე. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ არასამთრობო ორგანიზაციებთან, მათი ჩართულობით შევძელით, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაგვენერგა საკმაოდ კარგი სიახლეები, მოქალაქეებთან პირდაპირი კავშირი, სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია, მესიჯების სისტემა. სოფლებში გვაქვს ჩართულობის ცენტრები, საიდანაც მოქალაქეებს შეუძლიათ ინფორმაციების მოწოდება. ამ ცენტრებში ძირითადად ზრდასრული ადამიანები არიან, ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ სურვილი ჩაერთონ მსგავს პროექტში. ჩვენ ამ გზით ახალგაზრდებს მივიყვანთ საკრებულოში, ჩავრთავთ მსგავს პროექტებში. დავიწყებთ იმით, რომ ეს ჯერ იქნება საგანმანათლებლო ხასიათის, შემდეგ კი თანამშრომლობა გაგრძელდება და ახალგაზრდებსაც გაუჩნდებათ სურვილი დაინტერესდნენ მუნიციპალიტეტის სიახლეებით, პრობლემებით, ჩვენთან ერთად იმსჯელონ, იფიქრონ პრობლემების გადაწყვეტაზე.

„კივიტას გეორგიკა“ და საკრებულო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ

30 იანვარს ორგანიზაცია „კივიტას გეორგიკა“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. პროექტის „საქართველოში სკოლამდელი განათლების გაუმჯობესება სოციალური ანგარიშვალდებულების პროცესების მეშვეობით“ ფარგლებში, ორგანიზაცია „კივიტას გეორგიკას“ წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრა გამართეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრებთან.

შეხვედრის მიზანი სკოლამდელი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმისა და არსებული გამოწვევების შეფასება იყო. აქვე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საკრებულოს წევრებს ინფორმაცია მიაწოდეს ახალი პროექტის შესახებ „საქართველოში სკოლამდელი განათლების გაუმჯობესება სოციალური ანგარიშვალდებულების პროცესების მეშვეობით“. პროექტის ფარგლებში სკოლამდელი განათლების სფეროში იეგმება ისეთი შეფასების მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ბაღების თანამშრომლების, მშობლებისა და რიგ შემთხვევაში თავად ბავშვების ჩართვასაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით. ამის მისაღწევად ორ ძირითად მიმართულებაზე გაკეთდა აქცენტი, ესენია: შედარებითი ანალიზის შემუშავება და ეროვნული სკოლამდელი ასოციაციის დაფუძნება.

არასამთავრობო ორგიზაცია "კივიტას გეორგიკა" და საკრებულო სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. პროექტს ფარგლებში, რომელიც 2020 წლამდე გრძელდება, საკრებულოს შესაბამისი დარგობრივი კომისია ყველა საჭირო და მნიშვნელოვან აქტივობაში ჩართვება.

მერია ხანძრის შედეგად დაზარალებულებს სამშენებლო მასალებით დაეხმარება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ დაბა ლაითურში ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა მოინახულა.

შარაშენიძე საერთო საცხოვრებელი სახლის ბინადრებს დაბის მაჟორიტარ დეპუტატთან - გიორგი ჩაგანავასთან ერთად შეხვდა.

ხანძარი დაბა ლაითურის ორსართულიან საცხოვრებელ სახლში 26 იანვარს გაჩნდა. დაიწვა სახლის ორივე სართული. განადგურდა საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. დაზარალდა 5 ოჯახი. ცეცხლის გამომწვევ მიზეზად ადგილობრივები ძველ ელექტროგაყვანილობას ასახელებენ.

როგორც კონსტანტინე შარაშენიძემ აღნიშნა, მერია დაზარალებულებს საშენებლო მასალებით დაეხმარება. მანამდე კი სპეციალისტები შენობის მდგრადობას შეამოწმებენ.

წითელმთა-მაკვანეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობაზე

წითელმთა - მაკვანეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა 2017 წლის ნოემბერში დაიწყო.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები საშენებლო კომპანია „გზაშენი-18“- მა განახორციელა.

მოასფალტდა 2-კილომეტრიანი მონაკვეთი, მოეწყო სანიაღვრე არხები, მოსახლეობის ეზოში გადასასვლელები, მილხიდები და გაბიონები.

საშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულებაა 1 345 000 ლარი.

შპს „გურის 2015“ მოაწყო საავტომობილო ხიდი სოფელ მაკვანეთში (შატაულა), მილხიდი – სოფელ ნაგომარში, აღადგინა ხიდი სოფელ შემოქმედში (გომის უბანი).

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 28,80 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

როცა ერთ მედიასაშუალებას 70 ათასამდე ლარით აფინანსებ და მეორესთვის 7 ათასი ლარის გაცემა გიჭირს, ეს იმას ნიშნავს, რომ მეორეს ძირავ

პალიტეტის მერიამ ფასიანი მასალების გამოქვეყნება **მხოლოდ გაზეთ „გურია ნიუსში“ არჩია და ამ მიზნით ხსენებულ გაზეთს 4 950 ლარი გადაურიცხა.** დანარჩენი ადგილობრივ მედიასაშუალებები კი ფაქტობრივად პირში ჩალაგამოვლებული დატოვა და ეს მაშინ, როცა **შპს newpost და შპს „ახალი ამბები“ 4 950 – 4 950 ლარით დააფინანსა.**

„გურია ნიუსი“ შესაბამისად **1 150** ლარითა და **3 788** ლარით დააფინანსეს ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებმაც.

მოკლედ, გაზეთმა „ალიონმა“ 2017 წელს სამხარეო ხელისუფლებიდან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან სულ მიიღო **800 + 1200 = 2000** ლარის დაფინანსება, „გურია ნიუსი“ კი, მხარის მასშტაბით სულ დაფინანსდა **14 888** ლარით. **ამაში არ შედის გაზეთი „21-ს ქვემოთ“, რომელიც ფაქტობრივად „გურია ნიუსზე“ მიბმული მედიასაშუალებაა.**

საქართველოს სახელმწიფო აუდიტიდან გამოთხოვილი ინფორმაციით, გურიაში გამომავალი გაზეთებიდან საარჩევნო პერიოდში საბილბორდო რეკლამა მხოლოს ერთმა მედიასაშუალებამ – **„გურიის მოამბემ“** გასწია, რომელსაც დამოუკიდებელმა კანდიდატმა კონსტანტინე შარაშენიძემ ამ მიზნით **2 000** ლარი, ხოლო ინტერნეტრეკლამისთვის **100** ლარი გადაურიცხა.

თვითმმართველობის არჩევნებში „ევროპულმა საქართველომ“ ოზურგეთში სარეკლამოდ მხოლოდ **6 005** ლარი გაიღო, საიდანაც **5 005** ლარი შპს **„გურია ტვ-ს“** გადაურიცხა, ხოლო – **1000** ლარი **„გურიის პრესკლუბს“** („გურიის მოამბე“).

შპს „გურიის პრესკლუბს“ („გურიის მოამბე“) **300 ლარი** ერგო დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოდან“.

სახელისუფლებო პარტია „ქართულმა ოცნებამ“ კი, საარჩევნო რეკლამებისა და პიარისათვის გათვალისწინებული სოლიდური **თანხებიდან მხოლოდ 3 500 (თავდაპირველად 1 500**, დამატებით ტურში კი **2 000**) ლარი წამოუგდო „ალიონს“, ისიც საქმეში რედაქტორის აქტიური ჩარევის შემდეგ, მაშინ, როცა საარჩევნო პერიოდში ამ პარტიის მიერ გაწეულმა ბეჭდური რეკლამის ხარჯმა „გურია ნიუსში“ **28 600 ლარი** შეადგინა, ინტერნეტ-რეკლამის ხარჯმა – **20 300 ლარი**, სხვა სარეკლამო ხარჯებმა კი – **3 510 ლარი**, ანუ სულ თვითმმართველობის არჩევნებში „გურია ნიუსი“ **52 410** ლარით დაფინანსდა.

შედარებისათვის, ამ საკითხზე უფრო სრულყოფილი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს საქართველოს აუდიტის ვებ. გვერდზე, საიდანაც ჩანს, რომ რეგიონული მედიასაშუალებებიდან ქვეყნის მასშტაბით „ალიონი“ ყველაზე მწირად დაფინანსებულთა შორისაა. ხელისუფლებისა და მმართველი პარტიისათვის ლიდერი და ფავორიტი, რა თქმა უნდა, „გურია ნიუსია“, რომელსაც, სხვა რეგიონებში გამომავალი, მასზე არანაკლები გაზეთები საგრძნობლად ჩამორჩებიან. მაგალითად, „სამხრეთის კარიბჭე“, რომელიც მთელ მესხეთ-ჯავახეთში ვრცელდება, თვითმმართველობის არჩევნებში დაფინანსდა **27 000** ლარით, კახეთის რეგიონული გაზეთი „სპექტრი“ – **16 000** ლარით, „ბათუმელები“ კი – სულ **17 025** ლარით, აქედან **10 675** ლარი ჩარიცხულია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ. ჰოდა, ამის შემდეგ, კონკურენტი ჟურნალისტის ტერმინოლოგიით, „ჩვენ აქ რა მოსატანი ვართ“?!

არასდროს დავინტერესებულვართ სხვა მედიასაშუალებებათა ფინანსური წყაროებით, მაგრამ, ამ კონკრეტულ შემ თხვევაში, საჭიროდ ვცანით ამ სტატისტიკის გამოქვეყნება, რადგან მკითხველი საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა, რამდენად თანაბრად ანაწილებს ხელისუფლება მედიისათვის განკუთვნილ თანხებს მედიასაშუალებებზე. კარგად ვიცით, რომ კონკურენტ გაზეთებს უკეთესი ვებგვერდი აქვთ, მაგრამ როცა საქმე ბეჭდვითი ფასიანი მასალების გამოქვეყნებას ეხება, აქ სამართლიანად გვიჩნდება პრეტენზიები ხელისუფლების მხრიდან ფინანსების არათანაბრად განაწილების გამო. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენაც გვაქვს ჩვენი ბიზნესინტერესები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **როცა ერთ მედიასაშუალებას, ისიც რეგიონში, 70 ათასამდე ლარით აფინანსებ და მეორესთვის 7 ათასი ლარის გაცემა გიჭირს, ეს იმას ნიშნავს, რომ მეორეს ძირავ!** მაინცა და მაინც „მოვიდა ზურაბას“ პრინციპით მომუშავე ჟურნალისტებს უნდა მივბაძოთ, რომელთა გამოჩენისას ჩინოვნიკები კაბინეტებში იმალებიან?!

ერთიც, როცა რეგიონის მედიაში ასეთი ბიზნესგარემოა, კონკურენტი გაზეთის წარმომადგენელმა არ უნდა დაგიწყოს ე. წ. „ჯვარედინი დაკითხვა“ თუ რომელ შეხვედრაზე რა თქვი, მით უფრო, რომ „დასაკითხი“ ნამდვილად არაფერი გვითქვამს.

სუსტია თუ ძლიერი, მავანს მოსწონს თუ არ მოსწონს, „ალიონი“ არც „ბიძოს“ გაზეთი ყოფილა და არც „მიხოს“ რუპორი. 87 წლის წინათ დაარსებული მედიასაშუალება ოზურგეთელთა სახალხო გაზეთის რეპუტაციით სარგებლობდა და ისარგებლებს, გადავლახავთ როგორმე ამ ფინანსურ კრიზისსაც, არ დავიძირებით, ბატონებო!

გურიის გუბერნიაში წყლის სისტემის გაუმჯობესებაზე იმსჯელეს

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, **USAID** – ის ჩართულობით, წყლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ამ სფეროს ეფექტიან ფუნქციონირებაზე აქტიურად მუშაობს. პირველ ეტაპზე ხორციელდება არსებული სისტემის შესწავლა. ამ მიზნით, გუბერნიებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები მიმდინარეობს.

გურიის გუბერნატორი მერაბ ჭანუყვაძე დღეს წყლის ამერიკელ ექსპერტს ქილ ქისს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს არსებული პრობლემები და იმსჯელეს გადაჭრის გზებზე.

როგორც მერაბ ჭანუყვაძემ აღნიშნა, ამერიკელი ექსპერტი ტექნიკურ დახმარებას უწევს ინფრასტრუქტურის სამინისტროს წყლის სისტემების გაუმჯობესების მოდელის შემუშავებაში. გეგმის თანახმად, მოხდება ადგილზე მდგომარეობის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება, რათა სრულად მოხდეს სოფლების დაფარვა წყლის სისტემებით.

ქილ ქისი - „დღეს გვქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრა გუბერნატორთან. ჩვენ საკმაო დრო დავუთმეთ იმაზე საუბარს, თუ რა გამოწვევები ახლავს რეგიონში წყალმომარაგების მიწოდებას. ჩემი აზრით, გუბერნატორის შეხედულებები საინტერესოა და სპეციალისტებთან ერთად ამ საკითხზე ნაფიქრი აქვს. შესაბამისად, ველით უფრო მეტ თანამშრომლობას, რაც რეგიონში წყალმომარაგების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს“.

მერიაში წყლის რესურსების მართვის დეცენტრალიზაციაზე იმსჯელეს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ სენტორს, წყლის ექსპერტს ქილ ქისს შეხვდა.

ქისი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად წყლის რესურსების მართვის დოკუმენტზე მუშაობს და რეგიონებში შეხვედრებს მართავს.

შეხვედრაზე წყლის სფეროში გასატარებელი გარდაქმნების საჭიროებაზე, წყლის რესურსების მართვის დეცენტრალიზაციასა და ჩამდინარე წყლების მართვა - გადამუშავებაზე იმსჯელეს.

ქისი დაინტერესდა თუ რა მდგომარეობაა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში წყლის რესურსების გამოყენებისა და კონტროლის მხრივ, არის თუ არა მზაობა ახალი კონცეფციების, ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენების გზით წყალთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტად.

როგორც კონსტანტინე შარაშენიძემ აღნიშნა, ოზურგეთში მოსახლეობის სასმელის წყლით მომარაგების, წყლის ლაბორატორიულ კვლევისა და გადამუშავების მიმართულებით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

„წყლის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად წყლის რესურსების სწორი გადანაწილება და ისეთი სერიოზული პრობლემის აღმოფხვრაა, როგორიცაა ზედაპირული წყლების დაბინძურება. წყლის მართვის ოპტიმიზაცია ქალაქებსა თუ სოფლებში საჭიროებს წყლის გადამუშავების ახალი ტექნოლოგიების შემუშავებას, გამოყენებული წყლების ხელახლა გამოყენებას და მართვის დეცენტრალიზაციას. ეს ის საკითხებია, რომლებიც მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას მომავალში წყლის სექტორის განვითარების მიზნით, ამიტომ, აუცილებელია, ინოვაციების მიმართ გახსნილობა. “- აღნიშნა შარაშენიძემ.

შეხვედრას ვიცე მერი ალექსანდრე სურგულაძე, მერის მოადგილეები: ირაკლი სირაძე, ოსიკო თოთიბაძე, ასევე, წყალმომარაგების კომპანია შპს „სატისის“ დირექტორი დავით ცერცვაძე დაესწრნენ.

მაჟორიტარები

როზეტა სკამკოჩაიშვილი: „მთავარია ობიექტური, მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება“

მე, როგორც სოფელ დვაბზუს მაჟორიტარი დეპუტატი, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ჩემი სოფლის, ჩემი ამომრჩევლის წინაშე, მითუმეტეს, როცა სოფლის რჩეული უკვე მეორედ გავხდი და ორი მოწვევის საკრებულოს დეპუტატი ვარ. 2017 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში ექვს კანდიდატთა შორის 41.43% (476) მივიღე. იყო სოფლის მაჟორიტარი და მოსახლეობას გაუმართლო დაკისრებული ნდობა, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. წინა მოწვევის საკრებულოში ვფიქრობ, აქტიურად ვიმუშავე ჩემი სოფლის პრობლემებზე, მნიშვნელოვან ყურადღებას ვაქცევდი ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ჩემი დიდი ძალისხმევით დვაბზუს თემის ორივე სკოლში რეაბილიტირებულ იქნა სკოლის რამდენიმე ოთახი.

ვფიქრობ, წინა მოწვევის საკრებულომ აქტიურად იმუშავა და ნაყოფიერი იყო ჩვენი საქმიანობა. მითუმეტეს, როცა საკრებულო ს საქმიანობაში იყო სიახლეების წელი, როგორც პოლიტიკური კუთხით, ასევე საკრებულოს მოღვაწეობაში მთელი რიგი ახალი პრინციპები სდამკვიდრების თვალსაზრისით. ეს კი, უპირველესყოვლისა, გულისხმობს საქმიანობის წარმართვას სამართლიანობის, კანონიერებისა და საჯაროობის პრინციპის დაცვით.

როგორც მაჟორიტარს, ყოველდღიურ რეჟიმში მიწევს თანასოფლელებთან ერთად პრობლემებზე საუბარი, პრიორიტეტების დასახვა. შიდა გზების მოწესრიგება, გარე განათების, მილხიდების მოწყობა ეს მთავარი საზრუნავია. მახარებს ის ფაქტი, რომ დაპირება ე.წ. დვაბზუს ნასაკირალში საბავშო ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით რეალიზებულია და მალე აღსაზრდელები ისარგებლებენ თანამედროვე საბავშო ბაღით.

ჩემთვის, მნიშვნელოვანია მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა გადაწყვეტილების დაგეგმვისა და მიღების პროცესში. საქმიანობის მთავარი მიზანი ობიექტური, მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებაა, რაც უზრუნველყოფს ჩემი სოფლის, ჩვენი მუნიციპალიტეტის ნათელ მომავალს.

ლევან მგელაძე: „ჩემი მიზანი და ამოცანაა ვაკეთო საქმე ჩემი უბნის, ქალაქის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ“

ლევან მგელაძემ თვითმმართველობის არჩევნებში ქალაქ ოზურგეთის 02 მაჟორიტარულ ოლქში 1065 (43.38%) ხმით, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა გაიმარჯვა. ის საკრებულოში ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისთვის“ თავმჯდომარეა.

„წინა საარჩევნო პერიოდში ყოველდღიურ რეჟიმში ვხვდებოდი ამომრჩევლებს, მათთან ერთად ვმსჯელობდი პრობლემებსა და გადაჭრის გზებზე. მე კონკრეტული ხედვებითა და ინიციატივებით წარვსდექი ჩემი ოზურგეთელების წინაშე. გამოცხადებული ნდობა ორმაგ პასუხისმგებლობას მაკისრებს დეპუტატის უფლებამოსილების ფარგლებში სუფთა ხელებით, სუფთა გულით, პროფესიონალიზმით, გულშემატკივრის პოზიციიდან ვიზრუნო ოზურგეთისთვის. მისი სამეურნეო, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო სფეროს წარმატებული ფუნქციონირებისათვის.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, მოქმედების პრიორიტეტებია: ქალაქისა და სოფლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, აღდგენა-რეაბილიტაცია, ქალაქის განაშენიანების გეგმაზომიერი პროგრამის განხორციელება, იერსახის ტრადიციული ფორმის შენარჩუნება და პარალელურად ახალი რეალობის დანერგვა, მათი ჰარმონიული ურთიერთშერწყმა, მივიწყებული გურული ტრადიციების აღორძინება, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული ნაწილისთვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა, მცირე მეწარმეების და ფერმერების ხელშეწყობა, ზრუნვა სკოლამდელი აღზრდისა და სასკოლო დაწესებულებების კეთილმოწყობისთვის, მოსახლეობის ყველა ფენის და ინტერესების დაცვა.

ვიყო ხალხის რჩეული მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოში, ეს არის, პასუხისმგებლობასთან ერთად, მიზანი და ამოცანა ვაკეთო საქმე ჩემი უბნის, ქალაქის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ“.

რამდენად „ხარჯთეფექტიანად“ შეეწირა ოზურგეთის თვითმმართველი ქალაქის სტატუსი 2017 წლის „რეფორმას“



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ 2018 წლის 12 იანვარს მუნიციპალიტეტის 2018 წლის მთავარ საფინანსო დოკუმენტი დაამტკიცა. შესაბამისად, უკვე შესაძლებელია მის ფონზე გარკვეული ანალიზის გაკეთება და იმის შეფასება, თუ რამდენად „ხარჯთეფექტიანად“ შეეწირა ადგილობრივ თვითმმართველობაზე ქალაქ ოზურგეთში მცხოვრები მოსახლეობის საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული და გარანტირებული უფლება ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებას ქალაქ ოზურგეთისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის ჩამორთმევის (გაუქმების) შესახებ, რომელიც გასულ, 2017 წელს კანონით გათვალისწინებული საკალდებულო მოთხოვნის უხეში დარღვევით (მოსახლეობასთან აუცილებელი წინასწარი კონსულტაციების გამართვის გარეშე) განხორციელდა, ან კიდევ ამ გადაწყვეტილებამ რეალურად მოიტანა თუ არა მთავრობის მიერ შეპირებული „სიკეთეები“ და „სარგებელი“, თვითმმართველი თემის სახით, კვლავ გაერთიანებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვის.

დავიწყოთ იმით, რომ ქვეყნის ხელისუფლება, თვითმმართველობის სფეროში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად შექმნილი შვიდი ახალი თვითმმართველი ქალაქის გაუქმებისა და მათი კვლავ სათემო მუნიციპალიტეტებთან გაერთიანების აუცილებლობის ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად თავის დროზე ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებასა და მის საფუძველზე დაზოგილი თანხების რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართვას ასახელებდა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აღნიშნავდა, რომ, მუნიციპალიტეტების გაყოფამ წარმოშვა რიგი პრობლემებისა: ა) „მინიმუმ გაორმაგდა ადმინისტრაციული ხარჯები, ერთის მაგივრად ორი თვითმმართველი ერთეულის და, შესაბამისად, მათი ორგანიზაციების შექმნის შედეგად“; ბ) „კაპიტალური ხარჯების მოცულობა შემცირდა მიმდინარე, მათ შორის, ადმინისტრაციული ხარჯების ზრდის პროპორციულად, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება როგორც თვითონ მუნიციპალიტეტების, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე“; გ) „გაუარესდა ხარჯვის ეფექტიანობა“ (რაც იმას გულისხმობდა, რომ ხარჯვა არ იყო განვითარებაზე ორიენტირებული).

საინტერესოა, თვითმმართველი ქალაქი ოზურგეთის ადმინისტრაციის გაუქმებითა და კვლავ სათემო მუნიციპალიტეტში დაბრუნებით, რეალურად, მოხდა თუ არა ადმინისტრაციული ხარჯის დაზოგვა, რამდენად სწორ გათვლებს აკეთებდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ამ მიმართულებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტებში) წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების შესახებ 2017 და 2018 წლების მიხედვით; საგულისხმოა, რომ 2017 წლის მონაცემები წარმოდგენილია როგორც ცალ-ცალკე თვითმმართველი ქალაქი ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის, ისე ჯამური სახითაც ამასთან, 2017 წლის შესაბამისი მონაცემები აღებულია საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტების პირველადი ვარიანტის მიხედვით (თანხები მითითებულია ათას ლარებში):

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წელი			2018 წელი
		ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ჯამური	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (გაერთიანებული)
I	II	III	IV	V	VI
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1572,9	2738,1	4311,0	4330,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	87	161	248	230
2	ხარჯები	1552,4	2716,1	4268,5	4168,0
2.1	შრომის ანაზღაურება	1071,9	1896,2	2968,1	3046,6
2.2	საქონელი და მომსახურება	714,9	291,0	1005,9	959,3
2.2.1	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		65,6		102,0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	20,5	22,0	42,5	162,2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ 2018 წლის 12 იანვარს მუნიციპალიტეტის 2018 წლის მთავარ საფინანსო დოკუმენტი დაამტკიცა. შესაბამისად, უკვე შესაძლებელია მის ფონზე გარკვეული ანალიზის გაკეთება და იმის შეფასება, თუ რამდენად „ხარჯთეფექტიანად“ შეეწირა ადგილობრივ თვითმმართველობაზე ქალაქ ოზურგეთში მცხოვრები მოსახლეობის საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული და გარანტირებული უფლება ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებას ქალაქ ოზურგეთისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის ჩამორთმევის (გაუქმების) შესახებ, რომელიც გასულ, 2017 წელს კანონით გათვალისწინებული საკალდებულო მოთხოვნის უხეში დარღვევით (მოსახლეობასთან აუცილებელი წინასწარი კონსულტაციების გამართვის გარეშე) განხორციელდა, ან კიდევ ამ გადაწყვეტილებამ რეალურად მოიტანა თუ არა მთავრობის მიერ შეპირებული „სიკეთეები“ და „სარგებელი“, თვითმმართველი თემის სახით, კვლავ გაერთიანებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვის.

დავიწყოთ იმით, რომ ქვეყნის ხელისუფლება, თვითმმართველობის სფეროში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად შექმნილი შვიდი ახალი თვითმმართველი ქალაქის გაუქმებისა და მათი კვლავ სათემო მუნიციპალიტეტებთან გაერთიანების აუცილებლობის ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად თავის დროზე ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებასა და მის საფუძველზე დაზოგილი საბიუჯეტო თანხები რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდებოდა, სულ მცირე, ოზურგეთის შემთხვევაში, არანაირი კავშირი არ აღმოაჩნდა რეალურ მდგომარეობასთან (მკითხველს აქ, ცნობის სახით, უბრალოდ გვინდა შევახსენოთ, რომ სამინისტრო, თვითმმართველი ქალაქების რიცხვისა და მათი ადმინისტრაციების შემცირების ხარჯზე, სულ მცირე 40-50 მილიონი ლარის საბიუჯეტო ეკონომიას ელოდა). პარალელურად, ოზურგეთის გაერთიანებულ მუნიციპალიტეტში არც სამოხელეო შტატების რაოდენობის არსებითი ცვლილება (შემცირება) მომხდარა.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს. თავის დროზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2014 წელს გაყოფილი მუნიციპალიტეტების კვლავ გაერთიანების ერთ-ერთ „წონად“ არგუმენტად ის გარემოება მოჰყავდა, რომ „მუნიციპალიტეტების გაყოფის შედეგად არ გაზრდილა მათი საკუთარი შემოსავლები, რადგან გაყოფა არანაირად არ გამოდგა ეკონომიკური აქტივობის წახალისების საფუძვლად“; იგი ასევე აცხადებდა, რომ მუნიციპალური ბიუჯეტების ზრდა „მიღწეული იქნა არა საკუთარი შემოსავლების გაზრდის, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ტრანსფერის გამოყოფის ხარჯზე (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებული იქნა დამატებითი ხარჯები)“. ვნახოთ, ოზურგეთის მაგალითზე, რამდენად რეალური იყო / არის სამინისტროს ამგვარი დასკვნები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) შემოსავლების შესახებ, თუ როგორ იცვლებოდა სხვადასხვა წყაროებიდან მისაღები შემოსავლები წლების მიხედვით დინამიკაში, მათ შორის „წმინდად“ „საკუთარი“ შემოსავლები (გრანტების გარეშე). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ: (1) 2015, 2016 და 2017 წლების მონაცემები წარმოდგენილია როგორც ცალ-ცალკე თვითმმართველი ქალაქი ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის, ისე ჯამური სახითაც და (2) შესაბამისი მონაცემები 2013, 2015, 2016, 2017 და 2018 წლებისთვის აღებულია წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ოფიციალურად დამტკიცებული ამ წლების ბიუჯეტების პირველადი ვარიანტების მიხედვით (თანხები მითითებულია ათას ლარებში):

სინამდვილეში, ოზურგეთის მაგალითზე, შეიძლება ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ თვითმმართველი ქალაქი ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ე.წ. „წმინდა“ „საკუთარი“ შემოსავლები, მათი დამოუკიდებელ თვითმმართველ ერთეულებად არსებობის პირობებში, წლიდან წლამდე დინამიკაში მნიშვნელოვნად იზრდებოდა. ასე, მაგალითად, თვითმმართველი ქალაქი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები (ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული გრანტების, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერის გარეშე) 2015 წელს შეადგენდა 1.111,0 ათ. ლარს, 2016 წელს - 2.658,6 ათ. ლარს, 2017 წელს კი - 3.377,0 თ. ლარს, ხოლო რაც შეეხება თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანალოგიურ მონაცემებს, ამ უკანასკნელის საკუთარი შემოსავლები (ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული გრანტების, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერის გარეშე) 2015 წლის ბიუჯეტის საწყისი ვარიანტის მიხედვით დაგეგმილი იყო 1.563,6 ათ. ლარით, 2016 წელს - 2.969,1 ათ. ლარით, 2017 წელს კი - 4.527,3 ათ. ლარით. შესაბამისად, 2015-2017 წლებში მნიშვნელოვანი ზრდის დინამიკით ხასიათდებოდა ოზურგეთის ორივე მუნიციპალიტეტის ანალოგიური ჯამური მაჩვენებლებიც. საგულისხმოა, რომ 2015-2017 წლებში ოზურგეთის ორივე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები (როგორც ცალ-ცალკე აღებული, ისე ჯამურადაც) იზრდებოდა ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული გრანტების ჩათვლითაც და მათ გარეშეც; ამასთან, ზემოაღნიშნული ცხრილიდან, ოზურგეთის მაგალითზე, კარგად ჩანს ადგილობრივი თვითმმართველობებისადმი ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება, რაც იმ ტენდენციაში გამოიხატება, რომ 2015-2017 წლებში რაც უფრო იზრდებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის „წმინდა“ „საკუთარი“ შემოსავლები (როგორც ცალ-ცალკე, ისე ჯამური სახით), ამის პირდაპირპროპორციულად მცირდებოდა ცენტრალური ბიუჯეტიდან მათთვის გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა. კერძოდ, 2015 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერის ჯამური მოცულობა 11.523,6 ათ. ლარს შეადგენდა, 2016 წელს - 10.604,0 ათ. ლარს, 2017 წელს კი - 9.301,0 ათ. ლარს. რაც შეეხება 2018 წელს, ოზურგეთის გაერთიანებული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გათანაბრებითი ტრანსფერის სახით გამოყოფილი საბიუჯეტო რესურსის ოდენობა ოზურგეთის ყოფილი მუნიციპ-

▶▶▶ გვ-5

დასახელება	2013 წელი	2015 წელი			2016 წელი			2017 წელი			2018 წელი
	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (ერთიანი)	ჯამური	ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ჯამური	ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ჯამური	ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (გაერთიანებული)
I	II	III	IV	IV	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
შემოსავლები	9900,0	14458,2	7449,1	7009,1	17782,9	9156,2	8626,7	17465,3	7833,4	9631,9	18369,0
გადასახადებიდან	1828,7	1350,0	350,0	1000,0	3768,1	1780,0	1988,1	5630,0	2530,0	3100,0	6350,0
სხვა შემოსავლები	788,8	1324,6	761,0	563,6	1877,6	896,6	981,0	2274,3	847,0	1427,3	2465,0
გრანტები (მ.შ.:)	7282,5	11783,6	6338,1	5445,5	12155,2	6497,6	5657,6	9561,0	4456,4	5104,6	9554,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	7057,5	11523,6	6252,1	5271,5	10604,0	5120,4	5483,6	9301,0	4370,4	4930,6	9301,0
„საკუთარი“ შემოსავლები (გრანტების გარეშე)	2617,5	2674,6	1111,0	1563,6	5627,7	2658,6	2969,1	7904,3	3377,0	4527,3	8815,0

რამდენად „ხარჯთეფექტიანად“ შეეწირა ოზურგეთის თვითმმართველი ქალაქის სტატუსი 2017 წლის „რეფორმას“

ალიტეტებისთვის 2017 წელს გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერების რაოდენობის ზუსტ არითმეტიკულ ჯამს, ანუ 9.301,0 ათ. ლარს შეადგენს, ერთი თეთრით არც მეტსა და არც ნაკლებს. და ესეც მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ საქართველოს მთავრობას ელემენტარულად პირობა ჰქონდა დადებული, 2014 წელს განხორციელებული ცვლილებებით შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტების კვლავ გაერთიანების შედეგად არ უნდა გაუარესებულიყო მუნიციპალიტეტების განვითარებისთვის აუცილებელი ფინანსური მდგომარეობა და, შესაბამისად, უნდა შენარჩუნებულიყო მათი ფინანსური რესურსები, აქცენტით მზარდი კაპიტალური ხარჯების გაწევის შესაძლებლობაზე. როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლება მოერიდა მიცემული პირობის პირველივე წელს დარღვევას. თუმცა თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ ოზურგეთის გაერთიანებული მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2018 წელს გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა ზუსტად იმდენივეა, რამდენიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტების 2017 წლის ანალოგიური ჯამური მაჩვენებელი და, ამასთან, თუ ზემოაღნიშნულ ტენდენციასაც მივიღებთ მხედველობაში, დიდი ალბათობით სავარაუდოა, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა მომდევნო წლების განმავლობაშიც განგრძობს კლებას. არა გვგონია, საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულება მოტივაციად გამოადგეს მუნიციპალიტეტებს საიმისოდ, რომ მათ ძირითადი სწორება საკუთარი შემოსავლების (გრანტების გარეშე) ზრდაზე გააკეთონ.

ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებაც, რომლის ფართომასშტაბიან განხორციელებასაც, როგორც აღმოჩნდა, თურმე თვითმმართველი ქალაქების არსებობა უშლიდა ხელს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტებში) „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ესპლუატაციის“ პროგრამის დაფინანსებისა და მის ფარგლებში „არაფინანსური აქტივების ზრდაზე“ გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების შესახებ 2016, 2017 და 2018 წლების მიხედვით; ამასთან, 2016-2017 წლების მონაცემები მოცემულია როგორც ცალ-ცალკე თვითმმართველი ქალაქი ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის, ისე ჯამური სახითაც. საგულისხმოა, რომ 2016-2017 წლების შესაბამისი მონაცემები ამ შემთხვევაშიც აღებულია საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტების პირველადი ვარიანტების მიხედვით (თანხები მითითებულია ათას ლარებში):

ოზგ კოდი	დასახელება	2016 წელი			2017 წელი			2018 წელი
		ჯამური	ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ჯამური	ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (გაერთიანებული)
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5297,6	3062,2	2235,4	6536,7	2370,6	4166,1	6555,0
2	ხარჯები	3159,8	1191,4	1968,4	3473,8	1360,0	2113,8	3665,0
61	არაფინანსური აქტივების ზრდა	2137,8	1870,8	267,0	3062,9	1010,6	2052,3	3190,0

მკითხველისთვის რომ უფრო უკეთ გასაგები იყოს, თუ რაზეა საუბარი, განვმარტავთ, რომ „არაფინანსური აქტივების ზრდა“ გულისხმობს ქონების შეძენას, შექმნას (აშენებას); საკუთრივ, არაფინანსურ აქტივებში კი შედის სახელმწიფოს ისეთი მატერიალური ქონება, როგორიცაა შენობა-ნაგებობები, გზები, ხიდები, მიწა, მანქანა-დანადგარები, მარაგები და ბუნებრივი რესურსები. შესაბამისად, „არაფინანსური აქტივების ზრდა“, ძირითადად, მოიცავს ბიუჯეტის კაპიტალურ, ინფრასტრუქტურულ ხარჯებს. სწორედ ამიტომაც „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ესპლუატაციის“ პროგრამა და მის ფარგლებში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი არის ყველაზე მეტად საინტერესო იმის საილუსტრაციოდ, თუ რეალურად რა სიტუაციაა ინფრასტრუქტურული პროექტების ფინანსური მხარდაჭერის მხრივ. როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ირკვევა, წინა წლის ანალოგიურ ჯამურ მაჩვენებელთან შედარებით, 2018 წელს არსებითი ხასიათის ზრდა არც „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის“ პროგრამის დაფინანსებას განუცდია (ზრდა მხოლოდ 18,3 ათ. ლარს შეადგენს) და არც „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლს (ამ შემთხვევაში მატება 27,1 ათ. ლარია). ეს კი, ფაქტიურად, იმას ნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მხრივ, წინა წელთან შედარებით, რაიმე მკვეთრ ცვლილებებს 2018 წლის განმავლობაში არ უნდა ველოდოთ (აქვე უნდა ითქვას, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში და, შესაბამისად, წინამდებარე ანალიზშიც, ამ ეტაპზე ასახული არაა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების ფინანსური უზრუნველყოფა. - ავტ.).

და ბოლოს, კიდევ ერთიც უნდა აღინიშნოს: 2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების გაერთიანების (რეალურად, მხოლოდ ტერიტორიული ცვლილების) გარდა, დიდი ზარ-ზეიმით დაანონსებული მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, ერთადერთ ხელშესახებ ცვლილებად, რაც ბოლო დროს თვითმმართველობის სფეროში განხორციელდა, ის ფაქტი იქცა, რომ თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობით ორგანოში თანამდებობის პირთა წრე გაიზარდა, საკრებულოს თანამდებობის პირის რანგში საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის აყვანის ხარჯზე. როგორც ცნობილია, კანონით განისაზღვრა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ერთი მოადგილე, ხოლო, ფრაქციაში ცხრა ან ცხრაზე მეტი წევრის არსებობის შემთხვევაში, ფრაქციის თავმჯდომარე (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარისა) უფლებამოსილია ჰყავდეს დამატებით კიდევ ერთი მოადგილე. შედეგად მივიღეთ ის, რომ ოზურგეთის გაერთიანებული მუნიციპალიტეტის 46-კაციან საკრებულოში, დღეის მდგომარეობით, 22 თანამდებობის პირია და აქედან 15 მათგანი სწორედ საკრებულოს ფრაქციის ინსტიტუტთან დაკავშირებულ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ (საკრებულოში არსებული 7 ფრაქციის თავმჯდომარეს დამატებული საკრებულოს ფრაციათა თავმჯდომარეების 8 მოადგილე). შესაბამი-სად, საკრებულოს ამ 22 თანამდებობის პირის მხოლოდ შრომის ანაზღაურება ადგილობრივ ბიუჯეტს წლის განმავლობაში ნახევარი მილიონი (უფრო ზუსტად კი, - 499,2 ათ.) ლარი უჯდება (ისიც იმ შემთხვევაში, თუკი ამ პირებზე 2018 წლის განმავლობაში არანაირი სახელფასო დანამატი ან პრემია არ გაიცა). აღნიშნულის გათვალისწინებით, თვითმმართველობის სფეროში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობის შეფასება თავად მკითხველისთვის მოგვინდია.

რა შეიძლება ითქვას დასკვნის სახით?

პირველი ის, რომ, წინა წლებთან შედარებით, თვითმმართველი ერთეულის ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რომელიმე საბიუჯეტო პარამეტრის არსებითი ზრდა არ მომხდარა (ყოველ შემთხვევაში, ოზურგეთთან მიმართებაში მაინც), - ისეთი ზრდა, რომელსაც შეიძლებოდა გადაეწონა თუნდაც იგივე ოზურგეთისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის ჩამორთმევის ფაქტი. მეორეც კიდევ ის, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წინასწარმა გათვლებმა, რომ თვითმმართველი ქალაქების რაოდენობისა და მათი ადმინისტრაციების (ფაქტიურად, ადმინისტრაციული ხარჯების) შემცირება თითქოსდა 40-50 მილიონი ლარის საბიუჯეტო ეკონომიას გამოიწვევდა, ოზურგეთის შემთხვევაში, მსუბუქად რომ ვთქვათ, „ჩაილურის წყალი დალია“. და ყოველივე ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წელს შვიდი თვითმმართველი ქალაქის (მათ შორის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის) გაუქმებას ერთადერთი ახსნა და მიზეზი შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ - ადგილობრივი არჩევნების მოსაგებად საჭირო კადრების დეფიციტი (საკადრო პოლიტიკის კრიზისი) ხელისუფლებაში. ოზურგეთთან მიმართებაში, არსებულ მოცემულობაში, სხვა ახსნის პოვნა ელემენტარულად წარმოუდგენელია.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, საქართველოში ისევ გრძელდება წლების მანძილზე დამკვიდრებული მეტად არასახარბიელო ტენდენცია: იგულისხმება ის, რომ ხელისუფლების სათავეში მყოფი ნებისმიერი მმართველი პოლიტიკური ძალა როგორც კი თვითმმართველობის სფეროში განსახორციელებელ რეფორმებზე იწყებს ლაპარაკს, ამ საკითხს იმ კუთხით კი არ უყურებს, თუ რა უფრო უკეთესი და უმჯობესი იქნება ადგილობრივი დემოკრატიის სტანდარტისა და დეცენტრალიზაციის ხარისხის ასამაღლებლად და რეალური, დამოუკიდებელი თვითმმართველობის ჩამოსაყალიბებლად, არამედ უფრო იმ კუთხით, თუ, მის ხელთ არსებული შეზღუდული საკადრო რესურსებით, თვითმმართველობის რომელი ან როგორი მოდელის არსებობის პირობებში უფრო უკეთ მოახერხებს ადგილობრივი აჩევნების ზედმეტი თავის ტკივილის გარეშე მოგებას. უსიამოვნო ტრადიციაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია.

ირაკლი პაპავა

„საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ იურისტი

ურეკში თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა

ურეკში თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და ბულვარის მოწყობა იგეგმება. კურორტზე თანამედროვე რეკრეაციული სივრცის მოწყობის მიზნით მუნიციპალური განვითარების ფონდმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე ტენდერი უკვე გამოაცხადა.

ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა მოამზადოს როგორც ურეკის ბულვარის, ასევე მისი მიმდებარე ქუჩების და ბულვარზე გასასვლელების მოწყობის და რეკონსტრუქციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

პროექტის ფარგლებში ბულვარში ცენტრალურ შესასვლელში იქნება მოედანი; მოეწყობა საფეხმავლო გზა და ორზოლიანი ველო-ბილიკი; საშხაპეები; მოსასვენებელი ფანჩატურები; სკამები.

დაგეგმილია ბულვარის გამწვანება, სასმელი წყლის შადრევნების მოწყობა, გაკეთდება ფრენბურთის მოედანი და მოედნები სხვადასხვა სახის აქტივობებისთვის პლაჟზე. გარდა ამისა, პროექტში უნდა იყოს გათვალისწინებული საზოგადოებრივი სივრცის შესაქმნელად სეზონური ხასიათის აღჭურვილობების მონტაჟის შესაძლებლობა; ლანდშაფტის კეთილმოწყობა, მცირე არქიტექტურული ფორმების მოწყობა.

პროექტით გათვალისწინებული სარესტავრაციო ქუჩების საერთო სიგრძე 4800 მეტრია, საპროექტო ბულვარის და ქუჩიდან ბულვარზე გასასვლელი გზების საერთო სიგრძე 3500 მეტრი.

გრიბოედოვისა და სანაპიროს ქუჩების რეაბილიტაცია

ოზურგეთში ა. გრიბოედოვისა და სანაპიროს ქუჩებზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტით გათვალისწინებულია სანაპიროსა და ჟღენტის ქუჩების მოასფალტება, გზაგამტარის, სანიაღვრე არხებისა და ბორდიურების მოწყობა.

სამუშაოების მიმდინარეობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძე ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის სპეციალისტებთან ერთად გაეცნო.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 205 922 ლარს შეადგენს. სამუშაოები 2 თვის ვადაში დასრულდება.

ა. გრიბოედოვის ქუჩის პირველ შესახვევში მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. იგეგმება ასფალტბეტონის საფარის მოწყობა და ხიდის რეაბილიტაცია.

პროექტის ჯამური ღირებულებაა 75 917 ლარი. სამუშაოებს შპს „პალადა“ ახორციელებს.

პოეზია

ელგუჯა აბაშიძე: „ულექსოდ ვერ ვიცოცხლებ“

დაბადებულ 1978 წლის 7 ივნისს, თბილისში. გავიზარდე ოზურგეთში – ადრეული სიყმაწვილიდან, კერძოდ, 11 წლიდან ვცხოვრობ დედაქალაქში. რაც შეეხება პოეზიას, ბავშვობიდანვე მიყვარს იგი, წლინახევრისამ თურმე 35 ლექსი ვიცოდი ზეპირად.

17 წლიდან თავად ვწერ ლექსებს. ულექსოდ ვერ ვიცოცხლებ. როგორც ერთ-ერთ ლექსში ვამბობ, ლაპარაკი დამავიწყდა და სათქმელი ლექსად მითქვამს. მოკლედ, დანარჩენი მკითხველისთვის მიმინდვია. ჩემს ლექსებში ნათლად ჩანს ჩემი სულის წახნაგები.

სველი ელეგია

წვიმდა და ტალახს ხვრეპდა ასფალტი,
წვიმდა და წვიმა აწვიმდა ქალაქს
და სულშიც წვიმდა პირულად კოკის
და სიყვარულის ვხარჯავდი მარაგს.

ვუცქერდი ლეგა ჩოხით შემოსილ
მწუხარე ზეცას, მაღალს და მარად
და ვიფარებდი უშნო სახეზე
მე გულგრილობის იერებს ფარად.

ჩამოველ

გულში ჩამიკრა ჩემმა მშობელმა ქალაქმა
და თბილისური ტკივილი
სულში ერთ ლანდზე ალაგმა.
მომეთბო ჩემი კერია,
ჩემთვის რომ ყველაფერია,
აქ ისევ ისე ბავშვი ვარ,
აქ აღარა ვარ, არ, დიდი,
სახემცინარი შემცქერის
მონატრებული ადიდი.
ყოველ ქუჩაზე მხვდება და
თვალს მიკრავს ჩემი ბაღნობა,
თბილისურ ყინვით დამზრალი
გული აქ იწყებს გალღვობას.
„მოი და ნახე“ აქ არი,
მივალ და ვნახავ ხვალ დილით.
ვნახავ, თუმც ნახვა ვაი, რომ
იქნება არც თუ ადვილი.
მამის საძვალე იქაა, –
აი, სიმწარე ნამდვილი.
და მაინც ბედნიერი ვარ,
აქ ვარ მშობლიურ კერაზე
და საალერსო სიტყვები
თავად მადგება ენაზე.
სანამ ცოცხალი ვარ, მანამ
ეს ცხოვრება ხომ გრძელდება,
აქ ლექსი სხვანაირია,
აქ გული არა ბერდება.
აგერ, თავს უკან მადგია
მუზა და არა ჩერდება.

XXX

არასოდეს არ დაწერო,
რასაც არ გრძნობ.
მაშინვე მიგიხვდებიან ტყუილს,
მოკვდები და არავის ეტკინები,
ძაღლებიც კი არ ასტეხენ ყმუილს.

„რომის რა გითხრა“?

ჩემი ყველა გზა შენამდე მოდი,
მაგრამ შევხვდებით როდის, ვინ
იცის...
ახლა თექვსმეტი არის ივნისის
და ვუმზერ ზეცას,
ლაჟვარდს თბილისის.
და იქაც შენ ხარ,
მზის დისკოდ ჩანხარ.
მიყვარხარ, მწამხარ,
„რომის რა გითხრა“?
ჩემი გზა ყველა
შენამდე მოდის,
მაგრამ შევხვდებით

სამადლობელი

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ კონსტანტინე შარაშენიძესა და პენსიონერთა რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ბატონ გურამ ცერცვაძეს საჩუქრის სახით გაწეული დახმარებისათვის.

ზოთა შაქარიშვილი,
სოფელი კვირიკეთი.

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა,
მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

სკანვორდი



№ 4-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ნინელი ჭანკვეტაძე; დიახ – კი; სადაზღვევეო ორგანოს დოკუმენტი – პოლისი; შამბი – ბუჩქნარი; ქალაქი თურქეთში – ართვინი; ვაჟიშვილი – ძე; ომის ღმერთი (ბ.მ.) – არესი; ლ. ქიაჩელის სოფელი – ობუჯი; ქედის ნაწილი – მთა; კომში – ბია; ქალის სახელი – ანანო; ქიმიური ელემენტი – ქრომი; რუსთავი-2-ის ანიმაციური ფილმი – დარდუბალა; შტატი ამერიკაში – ჯორჯია; დამატება ძირითად ხელშეკრულებაზე – ადენდუმი; საეკლესიო კრება – სინოდი; სულელი გურულად – აბდალი; სამკურნალო მცენარე – ჭინჭარი; ... გაფრინდაშვილი – ნონა; „სურამის ციხის“ ავტორი – ჭონქაძე; ჩოსერის სახელი – ჯეფრი; პირდაპირის ანტიპოდი – ირიბი; ლიანდაგის რკინა – რელსი; ვაჟის მაყრების უფროსი – ეჯიბი; გრამატიკული კავშირი – და; ტატიანა შემოკლებით – ტატი; სიგრძის საზომი ერთეული – იარდი; შრიფტის სახეობა – ნონპარელი; ქალაქი რაჭაში – ონი; უმაღლესი შეფასება – ფრიადი; ... კუშნირი – ალა; ძველი ქართული ტომი – ჰერები.

ქალაქი ოზურგეთი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-4

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი

გურიელის სასახლე

კასტელისეულ ჩანახატში - „მისიონის რეზიდენცია გურიაში, - მკაფიოდ იკითხება ბორცვების, სერებისა და ზურგა გორაკების შემოგარენში განფენილი და გაშენებული ძველი ოზურგეთი. ქვის პლატფორმაში ჩამჯდარი დიდებული სასახლე გურიელებისა. მისი მაღლივი გუმბათიონები, კოშკები და ქონგურები, ბჭენი და გოდოლ-ბურჯები. ქალაქის კარიბჭესთან აღმართული ეკლესია „შემკული ყოვლითა,“ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობანი. ფიცხელ ბედაურებზე ამხედრებული მოლაშქრენი. ძალუმი სიცოცხლის განუხრელი მაჯისცემა შეინიშნება გურიელის ძველ სატახტოში. ფუსფუსებს, ღელავს, ბობოქრობს „დუმცხრალთა ტომი“ ამაყი მოდგმა. კასტელის ცნობით: „თვალტანადები და მნიშვნელოვნად მაღლები.“

ცხოველ ინტერესს იწვევს კასტელის ალბომში ჩახატული სურათი-ე სათანადო მინაწერით:

“ჩვენი სახლი სოფლად.

ბავშვები და ქალები ცხენს უბელოდ დაჯენებენ.

აღმოსავლელები ყრმობიდანვე ცხენზე ჯდომას, მშვილდისა და კაპარჭის ხმარებას არიან შეჩვეულნი. ძლიერნი არსებანია.“

იქვე ჩახატულია და აღწერილი: „მოკლე სცენა დიდად პატივცემული მთავარი გურიელისა, და მხარის ბრწყინვალე აზნაურთა თამაშობა სასახლის მინდორზე“ სათანადო მინა-წერით:

„ამ თამაშობას, რომელსაც ცხენით ასრულებენ მოჯირითე ქართველები, ტროკუსი ეწოდება. მასში მონაწილეობს როგორც მეფე, მთავარი, ასევე თვითმპყრობელი ბატონიც.“

წინამდებარე სურათზე, სადაც „ტროკუსის“ სცენაა წარმოსახული, წარმოდგენილია ძველი ოზურგეთის ცენტრალური ნაწილი, მისი ფართო და სწორი მოედანი, სასახლის მახლობლად მდებარე-ამჟამინდელი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, კინოთეატრისა და ქალაქის ბაღის მიდამოები.

თვალის ერთი გადავლებითაა კასტელის მიერ ალბომში ჩახატული საინტერესო სურათები: „ბავშვის ნათვლა გურიის სოფელში,“ პატრების სახლი სოფელ რეკელში, გურიის პროვინციაში,“ „უმშვენიერესი ვერცხლის ხატებით შემკული ეკლესია.“

ასევე საინტერესოა კასტელის მიერ ჩახატული ძველი ოზურგეთისა და მისი შემოგარენის ხედები: „მისიონის რეზიდენცია გურიაში,“ “დე კასტელის გასამართლება მთავარ გურიელის წინაშე,“ „დათუა ბისკია გურიელის ციხე-სიმაგრის მფლობელი.“

ალბომში ასახული გურიის სოფლის ხედები, ქალაქის აღწერილობანი თუ მისიონის რეზიდენციები საუკეთესო მასალაა XVII საუკუნის პირველი ნახევრის ძველი ოზურგეთის ყოფის შესახებ. ეს მასალები ყურადღებას იქცევს “არა მარტო ნაგებობათა დამახასიათებელი კონსტრუქციებით, ადგილმდებარეობითა და დასახლებებით, არამედ თავისი იშვიათი ფაქტობრივი მასალით, საყოფაცხოვრებო ბევრი წვრილმანით, რასაც სოფლის მეურნეობა შეიცავდა. ამასთან მრავალმხრივი სამუშაოები, სარეზიდენციო კარმიდამოზე სამეურნეო საქმიანობა, უაღრესად ძვირფასი დოკუმენტური მასალაა, რომლის ისტორიული მნიშვნელობა განუზომელია.“

საინტერესოა ოზურგეთის ციხე-ქალაქში არსებული მისიონერთა საცხოვრისი და მისი აღწერილობა. მისიონერთა საცხოვრისს “ყველგან, როგორც წესი ღობე აქვს შემოვლებული. კართან ძაღლია დაბმული. ეზოს შიგნით არა ერთი ნაგებობაა. ხულასა და სასიმინდეს გარდა, აქ არის ორსართულიანი აივნიანი ხის სახლი, ღარიბთა თავშესაფარი, დასასვენებელი სახლი სტუმრებისა და პატრებისათვის. უმეტეს შემთხვევაში რეზიდენცია ეკლესიასაც მოიცავს. ეზო ვრცელია, რომელშიც ბაღიცაა და ბოსტანიც, აქვე საქონელიც ძოვს და შინაური ფრინველები გაშლილან.“

ათვალიერებ კასტელის „ალბომს და ცნობებს საქართველოზე“ და აღტაცებას ვერ ფარავ ამ შრომისმოყვარე პატრის მიერ 26 წლის განმავლობაში უდიდესი შრომითა და რუდუნებით შექმნილ საინტერსო ჩანახატების შესახებ. ჩვენს წინაშე მთელი სისავსით ცოცხლდება 300 წლის წინარე პერიოდის ისტორიული გურია-ძველი ოზურგეთი.

დე კასტელს აღწერილი და ჩახატული აქვს არა მარტო გურიის სოფლები, მისი ციხე-სიმაგრეები და ეკლესია მონასტრები, აქაურ მკვიდრთა საქმიანობა თუ ოზურგეთის ხედები და შემოგარენი, არამედ გურიის მთავართა-საეკლესიო პირთა თუ დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელთა მეტად საინტერესო პორტრეტები. “და მართლაც თუ აქამდე ჩვენ ამ პერიოდის მხოლოდ ისტორიული ძეგლები, დაქცეული სასხლეები და მონასტერ-ეკლესიები, საფორტიფიკაციო ნაგებობები და ისტორიული წყაროები შემოგვრჩა-ახლა (კასტელისეული ჩანახატით) ჩვენს წინაშეა ამ პერიოდის ქართველთა სახეების მთელი გალერეა.

ეს სურათები იუწყებიან მათ სოციალურ წყობას და გარეგნულ იერს. მათში ცოცხლდება მთელი ეპოქის მატერიალური სამოსელი-ისტორიული ძეგლები და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ფასდაუდებელი საწესჩვეულებო სურათები.“

„გურიაში, – აღნიშნავს კასტელი,- სადაც დიდ ტანჯვაში გავატარე შვიდი წელი, ხუთი მთავარი გამოიცვალა. ამ სურათზე ნაჩვენებ მთავარს ეწოდება მამია, მეორე იყო მისი შვილი სიმონი, მესამე მალაქია, რომელიც პატრიარქი იყო, მეოთხზე ვახტანგი, მეხუთე ქაიხოსრო. იგი დღეს ცოცხალია და დიდი პატივცემელია ჩვენი პატრებისა.“

მამია, სიმონ, მალაქია, ვახტანგ და ქაიხოსრო გურიელების პორტრეტებზე კასტელს მონიშნული აქვს სათანადო მინაწერები: „მთავარი მამია გურიელი-შეიარაღებული. მისმა შვილმა ჰურის ჭამის დროს მოკლა იგი ... შეიარაღებული მთავარი ვახტანგ გურიელი ... ჩვენი პატრებისათვის უდიდესი ბოროტმოქმედი-ღმერთმა შეიწყალოს მისი სული. გურიის პროვინციის აბსოლიტური მთავარი სინომი-კეთილისმყოფელი ჩვენი პატრებისა. უნდა ნახოთ საქართველოს მეფე-მთავართა გულუხვობა და დიდებულება, რომლებმაც ჩვენ, პატრებს მოგვცეს მრავალი მამული და ადგილი.“

კასტელის მიერ ოზურგეთში მყოფ გურიის მთავრების შეფასებისას მთავარის ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ გურიაში მცხოვრები მისიონერები დადებითად აფასებენ იმ პირს, ვინც ხელს უწყობდა აღნიშნულ მხარეში კათოლიკობის გავრცელებას, ხოლო ვინც ხელ უშლიდა რომის კათოლიკური მსოფლიოს მიერ წამოწყებულ ამ ღონისძიებათა წიაღსცლას, მას უარყოფითად იხსენიებენ. ამის გამო, რომ კასტელის მინაწერებში მალაქია, მამია, ქაიხოსრო გურიელები დადებითად არიან წარმოდგენილნი, ხოლო რაც შეეხება ვახტანგ და სიმონ გურიელებს, მათ კასტელი ძალზედ უარყოფით შეფასებას აძლევს, ვინაიდან ამ მთავართა უხეში მოპყრობის გამო მისიონერები ვეღარ გაჩერდნენ გურიაში და მათ აქედან სამეგრელოში, ლევან დადიანის სამთავრო კარზე გადაინაცვლეს“

კასტელის ჩანახატში ამაყი ყელაზიდვით უზის მარცხენა ხელზე მთრთოლვარე მიმინო ცხენზე შემართულ სიმონ გურიელას. უცნაური სამოსითა და მოსასხამითაა წარმოდგენილი ვეიღოსანი თავსარქმლით შემკულ ოზურგეთის სატახტოში მოჭრით მჯდომარე პატრონი სრულიად გურიისა.

სრული შეუვალობითა და ზვიადური გამომეტყველებით იერასხით ყავს კასტელს დახატული მალაქია-გურიალთა პაპი მაღალი თავსარქმლითა და გრძელი ხშირი წვერით, რომელიც მკერდამდე სცემს ამაყ გურიელს-„საქართველოს ოთხი პროვინციის პატრიარქს“ „ორბულ აქედილი“ მზერა აქვს ჩანახატში მამია გურიელს. წარბშეჭმუხვნით მჯდომარე ვეება ცხენზე. ფიქრით შორეთშია გარდასული მთავარი. ვეიღოსანი მუზარადითა და ჩაბალახითაა წარმოდგენილი ლითონის აბჯარში ჩამოსხმული და გაქვავებული ვარდანიძეთა ამაყი ვეილაგის ნაშიერი. მკერდზე მრგვალი ფარი აქვს მიმაგრებული, მუხლებამდე სცემს არშიებით შემკული სამოსი. ძალუმი ფერხნიც უზანგებში აქვს გაკვართული.

„მისიონის მთავარი მოქიშპე,“ ვახტანგ გურიელის პორტრეტიც დაუხატია კასტელს. ტოტებ შემართულ;ი ფაფარ-აყრ?ლი მერანი მარჯვენა ხელით დაუოკებია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში შემართულ ვახტანგს, გრძელი შუბი სარკინებლად აქვს გაწვართული. მკვეთრად იკვართება მის ფოლადის ტანზე ჯაჭვ-ჩაბალახი, ფარი და საბრძოლო ისრები.

კასტელის ალბომში წარმოდგენილი გურიის მთავართა და ოზურგეთის ციხე-ქალაქის მფლობელ ხელისუფალთა “შესანიშნავ სამხედრო პირთა პორტრეტები, თავისებურ გამომეტყველებითა და ჩაცმულობით, (რაც) უდაოდ შორეული წარსულის შესანიშნავი ეკრანიზაციაა. (და მათი) უნაკლო საომარი აღჭურვილობა, თვალნათლივ მივანიშნებს ჩვენი წინაპრების დაოსტატებაზე სამხედრო ხელოვნებაში... ამ უნიკალური სურათების ღირებულება (განუზომლად) დიდია, რადგან აქ მოცემული ტიპების აღნაგობა-ჩაცმულობა და იერი საკმაო მასალას იძლევა იმ ეპოქის მამაკაცების, მათი გარემოს თუ საზოგადოებრივი წრის გასათვალისწინებლად.“

თვით კასტელის გადმოცემით „ქართველები მისდევენ თამაშობას, რომლიც სიმკვირცხლესა და სიძლიერეს მოითხოვს. მათ იციან იარაღის ხმარება... თითქმის მთელი ხალხი განწყობილია იარაღისადმი. მას ხმარობენ ყოველდღე ნადირობასა და ისრის ტყორცნა-გართობაში. ამ ოსტატობას ნაწილობრივ, მაგრამ მაინც სწავლობენ გიმნაზიაში და ნადირობაში იყენებენ მას.“

ენვერ გოგუაძე

სულთათანა

გრიგოლ (გია) სურგულაძის გახსენება

40 ტკივილიანი დღე გავიდა ძამიკო შენი ამ ქვეყნიდან წასვლიდან. ვერ დაგვიჯერებია, რომ ჩვენთან აღარ ხარ, ცრემლი არ შეგვშრობია თვალზე. შენი დედიკო და მეუღლე თამუნა თითქოს ერთმანეთს ამხნევებენ., მაგრამ ბოლოს მაინც ერთად ტირიან. ხატია პოსტებს აკეთებს ყოველ ღამე „მამი მენატრები, ძალიან, ძალიანო!“ ძნელია შეეგუო შენნაირი ადამიანის გარდაცვალებას, შენ ხომ ყველასათვის მხიარული, კეთილი, მომღიმარი „გიალო“იყავი. შენ ხომ არასოდეს არავისთვის გიწყენინებია. გვიყვარხარ, ძამიკო ყველას, გვენატრები, გვტკივა უშენობა.

უფალმა ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს ჩემო ძმაო.

თურმე როგორ გვტკივებია და ჩვენ სულ გვამხნევებდი კარგად ვარო.

შენი **უნუგეშო ოჯახი**

თხინვალის საჯარო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის **ლამარა გუჯაბიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია და ყოფილი ოზურგეთის სტამბის კოლექტივი თანაუგრძნობს ქეთევან დგებუაძეს დისშვილის **გოგა გოგუაძის** გარდაცვალების გამო.

უფასო განცხადება

90 ბეჭდვითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია. 90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექმებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ მიმდინარეობის შედეგები

ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა რომელიც უკვე ორი წელია მიმდინარეობს (2016-2017) პირველ ეტაპზე ბენეფიციარებისათვის ითვალისწინებს ფინანსურ თანადაფინანსებას 70-90% ფარგლებში, შელავათიან ფასებში იჯარით ჩაის ნაკვეთების აღებას, ხოლო შემდგომ ეტაპზე კოოპერატივებისათვის ჩაის გადამამუშავებელი ტექნიკური აღჭურვილობის უფასოდ გადაცემას.

აღნიშნული დადგენილებით სოფლის-მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრს დაევალა სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციების ფართობების დიაგნოსტირება, რაც გამოიხატება შემდეგში: ბენეფიციარის განაცხადის საფუძველზე სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სპეციალისტები ადგილებზე ამოწმებენ ჩაის პლანტაციების ყველა იმ კრიტერიუმებს, რაც განაპირობებს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას (დასარევლიანების დონეს, მეჩხერიანობას, ბუჩქის სიცოცხლის უნარიანობას, დაავადების ხარისხს, მელიორაციულ ფონს). იმ შემთხვევაში თუ პლანტაცია აკმაყოფილებს ძირითად კრიტერიუმებს შესაბამის ნაკვეთებში ხდება ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლა ცენტრ „ანასეული“-ს აკრედიტებულ ლაბორატორიაში. მიღებული მონაცემების საფუძველზე სოფლის-მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრის სპეციალისტები ბენეფიციარის თანამონაწილეობით ადგენენ აგროტექნოლოგიურ გეგმას შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალით შესაბამის ვადებში. ამასთანავე ბენეფიციარს ეძლევა რეკომენდაცია ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციაზე.

სოფლის-მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრის ვალდებულება შემდგომში ითვალისწინებს ჩაის სარეაბილიტაციო პლანტაციებში შესრულებული აგროტექნიკური სამუშაოების მონიტორინგს, რომლის საფუძველზე ბენეფიციარს გადაეცემა ცნობა სახელმწიფოსაგან თვითდაფინანსებით განსაზღვრული თანხის მისაღებად.

2017 წლის ბოლოსათვის საქართველოს მეჩაიობის ძირითადი რეგიონებიდან რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულია 33-მდე სხვადასხვა ბენეფიციარი (კოოპერატივი , შ.პ.ს და კერძო იურიული პირი)

მათ შორის გურიის რეგიონში:

შპს „მზიანი“, შპს „მარსი“, შპს „ნატურა თი კომპანი“, შპს „გეოპლანტი“, შპს „ლუკა 2010“, კოოპერატივი „ჩაი გალექტიკა“, შპს „ეკო ჩაი“, შპს „შავის ტყე“.

სამეგრელოს რეგიონში:

კოოპერატივი „თაია 2014“, კოოპერატივი „კოლხური თაიგული“, შპს „ჯვარი 91“, კოოპერატივი „ლესა“, შპს „მუხურელი“, შპს „როსტო 2016“, შპს „ლაზი“, შპს „მეგრული ჩაი“, შპს „ნერა“, შპს „როიალ დადიანი“, სს „ზღვაია“.

იმერეთის რეგიონში:

შპს „ტყიბულის მთის ჩაი“, შპს „რენეგიით თიი“, შპს „ფერეთა ჩაი“, შპს „გეო ფლაუერი“, კოოპერატივი „ხავერდოვანი ჩაი“, კოოპერატივი „თამარის ჩაი“, სს „ჰანთანგიუანის ჰოლდინგ ჯგუფი“, კოოპერატივი „ქვაციხის ჩაის თაიგული“, შპს „ოქროს ფოთოლი“, შპს „მარადი“, კოოპერატივი „ზოდის ჩაი“, კოოპერატივი „მთის ჩაი“, შპს „ბიო ჩაი ხონი“, კოოპერატივი „ეკომიგრანტი“.

რეაბილიტაციის ქვემდებარე ჩაის ფართობები რეგიონების მიხედვით:

რეგიონი	მუნიციპალიტეტი	სარეაბილიტაციო ფართობი (ჰა)
გურია 382 ჰა.	ოზურგეთი	319,7
	ლანჩხუთი	62,3
სამეგრელო 402 ჰა.	ჩხოროწყუ	121,6
	წალენჯიხა	171,5
	მარტვილი	109,3
იმერეთი 312 ჰა.	ვანი	18,4
	ტყიბული	42,8
	ჭიათურა	54,7
	ხონი	175,1
	წყალტუბო	21,0
სულ რესპუბლიკაში		1096,0

ამრიგად სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტაციის მიხედვით ამ ეტაპზე რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამით მუშავდება 1096 ჰა ჩაის პლანტაცია. თითოეულ ბენეფიციარზე სარეაბილიტაციო ჩაის ფართობების მოცულობა

5-100 ჰექტრის ფარგლებში მერყეობს. 100 ჰა-ზე მეტი ფართობის რეაბილიტაციას აწარმოებს გურიის რეგიონში შ.პ.ს „გეოპლანტი“, სამეგრელოს რეგიონში შ.პ.ს „ჯვარი 91“ და შ.პ.ს „ლაზი“.

სარეაბილიტაციოდ შერჩეული ჩაის პლანტაციები არაერთგვაროვნებით ხასიათდებიან. ფართობების უმეტესობა მიეკუთვნება წლების მანძილზე მიტოვებულ, გატყევებულ, ძლიერ დასარევლიანებულ კატეგორიას. მიუხედავად ამისა ჩაის ბუჩქები მაინც ინარჩუნებენ სიცოცხლის უნარიანობას და ექვემდებარებიან რეაბილიტაციას.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი პლანტაციები, რომლებიც მიუხედავად ყოველგვარი აგროტექნიკური ღონისძიების გატარებისა მაინც იძლევიან მცირე მოსავალს.

მესამე კატეგორიის პლანტაციები ეს ის ნაკვეთებია, რომლებიც წლების მანძილზე ფუნქციონირებენ, მესაკუთრენი ამზადებენ სხვადსხვა სახის ნედლეულს (ძირითადად უხეშს) . ამ ნაკვეთებზე ფინანსური სიმცირის გამო სრულ;ყოფილად არ მიმდინარეობს აგროტექნიკური ღონისძიებები: გასხვლა, სარეველებისაგან გაწმენდა, გაფხვიერება, განოყირება და სხვა.

ყველა ზემოთ აღნიშნული კატეგორიის პლანტაციები სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ ფარგლებში რეაბილიტაციას დაექვემდებარა, რაც დადებით მოვლენად მიგვაჩნია.

ბენეფიციარების ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სარეაბილიტაციო პლანტაციების განოყიერების საკითხებზე:

კერძოდ, სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციების ნაკვეთებიდან აღებული ნიადაგის ნიმუშების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

როგორც ცნობილია ჩაის პლანტაციების განოყიერება 1992-1993 წლებიდან შეწყდა. მხოლოდ აზოტოვანი სასუქებით ნოყიერდებოდა ფირმა „მარტინ ბაუერის“ დაქვემდებარებაში მყოფი ჩაის პლანტაციების ნაკვეთები. ეს პროცესი დაახლოებით 15-20 წელი გაგრძელდა, რის შედეგად სარეაბილიტაციოდ გამოყოფილ ჩაის პლანტაციების ნაკვეთებიდან აღებული ნიადაგის შერეული ნიმუშების გაანალიზების შედეგად უმეტეს შემთხვევაში დარღვეული იყო საკვები ელემენტების ბალანსი, კერძოდ შესათვისებელი კალიუმის და ჰიდროლიზური აზოტის შემცველობა დაბალია თითქმის ყველა ნაკვეთზე, იშვიათად არის ნაკვეთები სადაც შესათვისებელი ფოსფორის შემცველობა ოპტიმალურია, უმეტესად შესათვისებელი ფოსფორის შემცველობა დაბალია. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში როცა ჩაის მოსავლიანობა პიკს აღწევდა 1970-1985 წლეებში ჩაის პლანტაციეების ნაკვეთების 35-40%-ი საკვები ელემემენტებით მაინც ღარიბი იყო.

როგორც ცნობილია ჩაის პლანტაციეების ექსპლოატაცია ბოლო 20-25 წლის განმავლობაში ფაქტიურად არ მიმდინარეობდა, ამიტომ საკვები ელემენტების მოსავლით გამოტანა მინიმუმამდე იყო შემცირებული, აქედან გამომდინარე სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციების ნაკვეთებში მართალია დარღვეულია საკვები ელემენტების შემცველობის ბალანსი კერძოდ საკვები ელემენტების შემცველობა დაბალია, მაგრამ შიმშილი არ შეიმჩნევა, რაც საშუალებას გვაძლევს აღდგენითი პროცესი უმოკლეს პერიოდში განხორციელდეს.

წითელმიწა, ეწერი, გაეწრებული წითელმიწები, რომელზეც ძირითადად გაშენებულია ჩაის პლანტაციები მძიმე თიხნარი მექანიკური შემადგენლობისაა, ამიტომაც სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციების ნაკვეთებს უმეტესად შენარჩუნებული აქვთ მექანიკური შემადგენლობა, გამონაკლისია ის ფართობები,

რომლებიც გაშენებულია 30 გრადუსის დახრილობის ზევით და განიცდის ჩამორეცხვის პროცესს.

აღნიშნული ნიადაგები მაღალი მჟავიანობით ხასიათდებიან, სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციების უმეტეს ნაკვეთებში მჟავიანობა შენარჩუნებულია, იშვიათად გვხვდება სუსტ-მჟავე არეში გადასვლა, რაც ჩაისთვის მისაღებია.

სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციების უმეტეს ნაკვეთებში ჰუმუსის შემცველობა საშუალოზე მაღალია, მას შესამჩნევი კლება არ განუცდია, ნაკლებობის ფაქტები აღინიშნება ძლიერ დახრილ ნაკვეთებში გაშენებულ პლანტაციებში.

სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციეების ნაკვეთების განოყიერებისას ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. იმ შემთხვევაში თუ ნაკვეთი ღარიბია სამივე საკვები ელემენტით (**N, P, K**) საჭიროა გამოყენებული იქნას რთული კომპლექსური სასუქები. **NPK**, სუპერაგრო, ამოფოსკა, დიამოფოსკა და სხვა, სხვა შემთხვევაში განოყიერება უნდა მოხდეს მარტივი სასუქების გამოყენებით. მარტივი სასუქების ფორმების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლები და შეივსოს ის საკვები ელემენტი, რომლის დეფიციტია ნიადაგში, რომ არ დაირღვეს მინიმუმის კანონი.

სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციები ნაკვეთებიდან პირველ წლებში სრულმოსავლიანი პლანტაციის მიღებამდე ბიო-ჩაის წარმოება მიგვაჩნია არა სწორად. როგორც ცნობილია ჩაი არის მარადმწვანე მცენარე. რეაბილიტაციის დროს ხდება მისი მძიმე ან ნახევრად მძიმე გასხვლა , ამ პერიოდში მას შორდება მწვანე საფარი. რეაბილიტაციის დროს უნდა მოახდინოს ბუჩქის ფორმირება და შეფოთვლა მწვანე მასით, რისთვისაც საჭიროა იმ საკვები ელემენტის გამოყენება რომელიც მწვანე მასას ქმნის, ეს კი არის ელემენტი აზოტი. აზოტი შედის როგორც მინერალურ ისე ორგანულ სასუქებში, მხოლოდ მინერალურ სასუქში შემავალი აზოტი უფრო სწრაფად მოქმედია ვიდრე ორგანულში, აქედან გამომდინარე ბუჩქის აღდგენა-ფორმირების დაჩქარების მიზნით უპირატესობა ენიჭება მინერალურ სასუქებს, კერძოდ რთულ კომპლექსურ სასუქებს, რომელსაც შემცირებული დოზით დამატება ამონიუმის გვარჯილა. როცა მოხდება ბუჩქის ფორმირება შემდეგ უკვე შესაძლებელია თანდათანობით ორგანო-მინერალურ სასუქებზე გადასვლა, ეს არ შეეხება იმ ჩაის პლანტაციებს, რომლებიც რეაბილიტაციის დროს მოითხოვენ მხოლოდ შპალერულ გასხვლას, აქ უნდა გავითვალისწინოთ ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლები, რამდენად შესაძლებელია ორგანო-მინერალური სასუქების გამოყენებით მივაღწიოთ საკვები ელემენტების იმ დონეს ნიადაგში, რომ შესაძლებელი გახდეს მოსავლის მიღება.

ბიო-ჩაის წარმოება უნდა დავიწყოთ ჰერბიციდების გამოყენების აკრძალვით, მინერალური სასუქების თანდათანობით შემცირებით და ორგანულ-მინერალური სასუქების დოზების ზრდით.

მიუხედავად გაწეული სერიოზული ღონიოსძიებებისა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროცესში გამოვლინდა რიგი გაუთვალისწინებელი ნაკლოვანებები და ხარვეზები:

1. სათანადო ტექნიკური საშუალებების სიმცირე და ტექნიკური გაუმართაობა, რასაც მოყვა ტექნოლოგიური სქემით გათვალისწინებული სამუშაოების (ნაკვეთების გაწმენდა მრავალწლიანი და ერთწლიანი სარეველებისაგან, ჩაის ბუჩქების მძიმე და ნახევრად-მძიმე გასხვლა, ნასხლავი მასის დაქუცმაცება, რიგთაშორისებში ნიადაგის მექანიზირებული საშუალებებით დამუშაება და სხვა) შესრულების დაბალი ხარისხი.

2. სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციებში ადგილი ჰქონდა რეკომენდირებილი სასუქების შეტანის ფორმების, დოზების და ვადების ცვლას, ნაცვლად კომპლექსური მინერალური სასუქებისა დაფიქსირდა თხევადი ორგანო-მინერალური სასუქის ბლექ-ჯეკის შეტანის ფაქტი (შ.პ.ს „ფერეთა ჩაი“) მაშინ როცა აღნიშნული სასუქი საერთოდ არ არის გამოცდილი ჩაის კულტურის განოყიერების სისტემაში. ჩვენი აზრით ასეთი სასუქების გამოყენება რეაბილიტაციის პირველ წელს დაბალ ეფექტურია.

3. სარეაბილიტაციო პლანტაციების უმეტესობა შემოუღობავია. მართალია სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ შემოღობვის დაფინანსებას არ ითვალისწინებს, თუმცა ჩვენი აზრით დაუცველ პლანტაციებში რეაბილიტაციაზე გაწეული ხარჯები არა ეფექტური იქნება.

4. ჩაის სარეაბილიტაციო პროგრამა 3 წელზეა გათვლილი. აუცილებლად მიგვაჩნია მეორე და მესამე წელს ტექნოლოგიური სქემით გათვალისწინებული სამუშაოების სახელმწიფო თანადაფინანსება. წინადმდეგ შემთხვევაში ბენეფიციარები თავისი ბიუჯეტით ვერ შეძლებენ დაგეგმილი სამუშაოების ბოლომდე მიყვანას. შესაძლებელია მეორე და მესამე წელს სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები ბენეფიციარის მიერ ანაზღაურებული იქნას პლანტაციის სრული მოსავლიანობის შემდეგ.

5. ბენეფიციარები განიცდიან მეჩაიე სპეციალისტების დეფიციტს, რაც დღის წესრიგში აყენებს სპეციალისტების მომზადება გადამზადების საკითხის მოგვარებას, რომელიც ჩვენი აზრით ცენტრ „ანასეული“-ს ბაზაზე უნდა განხორციელდეს.

6. მოტანილი ხარვეზები და ნაკლოვანებები გამოსწორებადაია, თუ იქნება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, რაც გამოიხატება ამ პროგრამის გაგრძელებაში, ბენეფიციარების მაღალ პასუხისმგებლობასა და მეცნიერების ჩართულობაში.

ზაურ გაბრიჩიძე.
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:
რუსუდან ტაკიძე.
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი:
იოსებ ბასილია.
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი:

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“ .

7 დღის ამინდის პროგნოზი

5 თებერვალი ორშაბათი	6 თებერვალი სამშაბათი	7 თებერვალი ოთხშაბათი	8 თებერვალი ხუთშაბათი	9 თებერვალი პარასკევი	10 თებერვალი შაბათი	11 თებერვალი კვირა
მცირე წვიმა +5+14	მზე, ღრუბელი +5+10	მზე, ღრუბელი +7+12	მზე, ღრუბელი +8+15	მზე, ღრუბელი +8+12	ღრუბელი +7+11	მცირე წვიმა +4+9